BAU INTERNATIONAL UNIVERSITY BATUMI LIMITED
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №02/100

ქ. ბათუმი, 01 აპრილი 2019წ

„საგრანტო კონკურსის გამოცხადების, წარმოსადგენი დოკუმენტების და გასაუბრების ვადების განსაზღვრისა და საგრანტო კომისიის ფორმირების შესახებ“

ვხელმძღვანელობ რა, სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის, აკადემიური საბჭოს 2017 წლის 24 მარტის №3 დადგენილებით „საგრანტო კონკურსის პირობების დამტკიცების შესახებ დებულებით“, „საგრანტო კონკურსის პირობების დამტკიცების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასწავლო უნივერსიტეტში გამოცხადდეს აბიტურიენტთა საგრანტო კონკურსი 2019-2020 სასწავლო წლისათვის.
2. სასწავლო უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო წლისათვის სწავლის დაფინანსების მიზნით კონკურსანტების დოკუმენტების წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 2019 წლის 3 ივნისის ჩათვლით.
3. 2019-2020 წლის საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) ერთიანი ეროვნული გამოცდების პრიორიტეტების ჩამონათვალში პირველ ადგილზე მითითების დამადასტურებელი დოკუმენტი (აღნიშნული არ ვრცელდება უცხო ქვეყნის მოქალაქეზე);

ბ) CV ფოტო სურათით, სადაც ასახული იქნება განხორციელებული აქტივობები, უნარები, ჰობი;

გ) ორი სარეკომენდაციო წერილი (რეკომენდატორთა საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით), ერთი აუცილებლად კლასის დამრიგებლისაგან;

დ) სამოტივაციო წერილი ინგლისურ ენაზე - (მინიმუმ 300 სიტყვა);

6010, ქ. ბათუმი, გენერალ ა. აბაშიძის ქ., № 14
ტელ.: + 995 (422) 21-25-35/36
ფაქსი: + 995 (422) 21-25-37
ელ. ფოსტა: info@bauinternational.edu.ge

საიდენტიფიკაციო კოდი
Identification code
445434888

14,General Aslan Abashidze str, Batumi, 601
Tel.: +995 (422) 21-25-35/3
Fax: +995 (422) 21-25-3
E-mail: info@bauinternational.edu.g

ე) სხვა აქტივობების (ოლიმპიადა, კონფერენცია, პროექტი, მათ შორის სატელევიზიო) დამადასტურებელი დოკუმენტები;
ვ) აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტი ნათარგმნი და დამოწმებული ნოტარიულად.
4. საგრანტო კონკურსის ჩატარების მიზნით შეიქმნას საგრანტო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
ა) ადმინისტრაციის ხელმძღვანელი- თეა მიქელაძე;
ბ) მედიცინის ფაკულტეტის დეკანი - ლეილა ახვლედიანი;
გ) საბაზისო მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი-ლევან მეტრეველი;
დ)საერთაშორისო ურთიერთობების, მარკეტინგისა და სტუდენტთა მომსახურების სამსახურის უფროსი - ნანა კუტუბიძე;
ე) იურიდიული სამსახურის უფროსი - ირაკლი დუაძე.
5. საგრანტო კომისიის რეზერვ წევრებად დაინიშნოს:
ა) კორესპონდენციისა და ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი -ჯეიმარ ფარტენაძე;
ბ) ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი - თეონა ხაბაძე.
6.ზემოაღნიშნულ კომისიას დაევალოს წარმოდგენილ კონკურსანტთა დოკუმენტაციის განხილვა 2019 წლის 31 მაისიდან 2019 წლის 05 ივნისის ჩათვლით.
7. წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ გაიმართოს კონკურსანტებთან ზეპირი გასაუბრება 2019 წლის 7 საათზე.
8. კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ იქნას არაუგვიანეს 2019 წლის 11 ივნისს.
9. სასწავლო უნივერსიტეტის კანცელარიისა და არქივის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს დაევალოს წინამდებარე ბრძანების ასლების გადაცემა დანიშნულ კომისიის წევრთათვის.
10. მარკეტინგისა და სტუდენტთა მომსახურების სამსახურის უფროსს დაევალოს წინამდებარე ბრძანების განთავსება სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდსა და სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე.
11. ბრძანება ძალაშია ხელისმოწერისთანავე.
12. ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში მისი გაცნობიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში, მისამართზე - ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30.

რექტორი, პროფესორი
ისმეთ დინდარ